## 2014 წლის შემდეგ მუნიციპალიტეტების ა(ა)იპებში დასაქმებულთა რაოდენობა 8 ათასზე მეტი პირით, ყოველთვიური სახელფასო ხარჯები კი 4 მილიონზე მეტი ლარით გაიზარდა

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში მიმდინარე პროცესებს აქტიურად აკვირდებოდა. ორგანიზაციის მიზანი იმის გამოკვლევა იყო, თუ რამდენად გაიზარდა მუნიციპალური ა(ა)იპების რაოდენობა და თავად ამ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა რიცხვი. ორგანიზაცია პერიოდულად აქვეყნებდა სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადებულ კვლევებს. წინამდებარე ანგარიში შეიცავს როგორც უკვე გამოქვეყნებულ კვლევებს, ასევე იმ რეგიონებში არსებული მდგომარეობის ანალიზს, რომელთა შესახებ ორგანიზაციას ინფორმაცია ჯერ არ გაუსაჯაროებია.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მუნიციპალიტეტს აძლევს უფლებას, თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და გახდეს მისი წევრი. ცხადია, მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვრონ, თუ რა ტიპის იურიდიული პირების არსებობაა საჭირო თვითმმართველობის გამართული საქმიანობისათვის, თუმცა მწირი საბიუჯეტო რესურსების პირობებში, მაქსიმალურად ორიენტირებულნი უნდა იყვნენ ადმინისტრაციული ხარჯების ეკონომიასა და მოქალაქეთა საჭიროებების, კომუნალური თუ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე.

რეგიონებში ჩატარებულმა აჩვენა, რომ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ქვეყნის ყველა რეგიონში მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რაოდენობა გაიზარდა, მკვეთრად გაიზარდა იქ დასაქმებულ პირთა რაოდენობაც და მათი შრომის ანაზღაურებაზე გასაწევი ხარჯიც. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ უმუშევრობის მაჩვენებელს, მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილში ადგილობრივი თვითმმართველობა დასაქმების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად რჩება, თუმცა არაგონივრულად გაზრდილი საშტატო ერთეულები ხშირ შემთხვევაში მძიმე ტვირთად აწევს მუნიციპალიტეტის ისედაც მწირ საბიუჯეტო რესურსებს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საჯარო მოხელეთა დანიშვნის წესისგან განსხვავებით, ა(ა)იპებში დასაქმება არ ითვალისწინებს კონკურსის გამოცხადებას, შესაბამისად, ა(ა)იპის ხელმძღვანელი საკადრო გადაწყვეტილებებს პრაქტიკულად ერთპიროვნულად იღებს, რაც არ იძლევა შესაძლებლობას ვაკანტურ პოზიციაზე თავისუფალი კონკურენციის პირობებში შერჩეულ იქნას უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი და ამასთან, ეჭქვეშ დგას საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება კონკურსის გარეშე, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დასაქმებულთა კვალიფიკაცია მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს.

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, დადგინდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო (2014 წლის) არჩევნების შემდეგ:

- ქვეყნის მასშტაბით (თბილისის გარდა) არსებულ მუნიციპალური ა(ა)იპების რაოდენობა 84 ერთეულით (695-დან 779-მდე) გაიზარდა;

- მუნიციპალურ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რაოდენობა 8 232 პირით (36540-დან 44772-მდე) გაიზარდა;
- დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდის შესაბამისად, შეიცვალა შრომის ანაზღაურების მოცულობა - 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ა(ა)იპებში დასაქმებულთა ხელფასებზე მუნიციპალიტეტები ჯამში 4 245 152,6 ლარით მეტს ხარჯავენ, ვიდრე 2014 წლის არჩევნებამდე (11126350.24 ლარიდან 15371502.81 ლარამდე); შესაბამისად, ანალოგიური წლიური დანახარჯი 50 941 831,2 ლარით გაიზარდა;
- თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მუნიციპალური ა(ა)იპების რაოდენობა ყველაზე დიდი რაოდენობით (29 ერთეულით) დაფუძნდა რაჭა-ლეჩხუმში, ერთადერთი რეგიონი, სადაც მსგავსი პირების რაოდენობა შემცირდა ( შიდა ქართლია - ცალკე ა(ა)იპად დარეგისტრირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ერთ იურიდიულ პირში გაერთიანდნენ), თუმცა ამას დასაქმებულთა რაოდენობა არ შეუმცირებია, პირიქით, სხვა რეგიონების მსგავსად, მათი რაოდენობა შიდა ქართლშიც გაიზარდა;
- ყველაზე მეტად ა(ა)იპებში დასაქმებულთა რაოდენობა იმერეთის მუნიციპალიტეტებში (1713 ერთეულით) და გურიაში (984 ერთეულით) გაიზარდა; ზრდის ყველაზე მცირე მაჩვენებელი კი სამცხე-ჯავახეთსა (347 ერთეულით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (408 ერთეულით) აღინიშნა;
- ზოგიერთ შემთხვევაში, თვითმმართველ ქალაქსა და თემში დაფუძნებული ა(ა)იპისა და საქალაქო სამსახურების ფუნქციები ერთმანეთს ემთხვევა (ფოთი, მესტია, ონი, ცაგერი), რაც აბსოლუტურად მიუღებელია და იწვევს მუნიციპალური მწირი რესურსების არაეფექტიან ხარჯვას;
- მუნიციპალიტეტების გარკვეულ ნაწილში სახელოვნებო და სასპორტო მიმართულების ორგანიზაციები (სპორტულ სახეობათა, ხელოვნების ამა თუ იმ დარგის შემსწავლელი სკოლები) ცალ-ცალკე ა(ა)იპებად არიან დარეგისტრირებულები, რაც ასევე მნიშვნელოვნად ზრდის მუნიციპალურ საბიუჯეტო დანახარჯებს. ხაშურის მაგალითის გამოყენება, სადაც ბაღები ერთ ა(ა)იპში გაერთიანდნენ, უზრუნველყოფდა გაცილებით ეფექტიან მენეჯმენტს და ფინანსურ-ადმინისტრაციული დანახარჯების ოპტიმიზაციას;
- კვლავ პრობლემად რჩება ა(ა)იპებიდან თანამშრომელთა გათავისუფლება-დასაქმების პროცესის გაუმჭვირვალობა და გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობა; ბათუმში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებიდან ზოგიერთი დასაქმებულის გათავისუფლებამ გააჩინა კითხვები გადაწყვეტილების პოლიტიკურ საფუძველთან დაკავშირებით. "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" იურიდიული დახმარების ცენტრმა, გათავისუფლებულ მოქალაქეთა დაცვის მიზნით, სასამართლო დავა დაიწყო და უმეტეს შემთხვევაში დავა ორგანიზაციის სარჩელების დაკმაყოფილებით დასრულდა.
- პრობლემური აღმოჩნდა მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი სახით მიღება. ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კანონით გათვალისწინებული ვადა დაარღვიეს, გამოგზავნილი საჯარო ინფორმაცია კი არასრულყოფილი და არასისტემატიზირებული აღმოჩნდა.


მუნიციპალური ა(ა)იპების რაოდენობა 2014 წლის არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ
2014
2015-2016
105
113
33
47
158
158
37
66
45
50
55
70
73
65
74
79
91
93
24
38
სამეგრელო-ზემო...
გურია
იმერეთი
რაჭა-ლეჩხუმ ქვემო...
აჭარის ავტონომიური...
სამცხე-ჯავახეთი
შიდა ქართლი
ქვემო ქართლი
კახეთი
მცხეთა-მთიანეთი


მუნიციპალურ ა(ა)იპებში დასაქმებულთა რაოდენობა
2014 წლის არჩევნების შემდეგ
2014 წლის არჩევნებამდე
მცხეთა-მთიანეთი
2271
1450
კახეთი
6059
5164
ქვემო ქართლი
4990
4017
შიდა ქართლი
2298
1847
სამცხე-ჯავახეთი
2051
1704
აჭარა
4415
4007
რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი
2035
1158
იმერეთი
11298
9585
გურია
2954
1970
სამეგრელო-ზემო სვანეთი
6401
5548




“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” პოზიციით, მუნიციპალიტეტებში ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნება ხშირ შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის გარეშე ხდება, რაც მწირი მუნიციპალური ფინანსური რესურსების კიდევ უფრო მეტად არაეფექტიან ხარჯვას იწვევს. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა გადახედონ არსებულ პრაქტიკას და იხელმძღვანელონ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით - ეფექტიანი მენეჯმენტისა და გონივრული საკადრო პოლიტიკის პირობებში მაქსიმალურად გააუმჯობესონ მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობა და ხარისხი.

არასაჭიროებისამებრ გაზრდილი კადრების რაოდენობა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მუნიციპალიტეტების დიდი ნაწილში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 25%-მეტი შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება, როგორც ეს “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულმა მონაცემებმა ცხადყო.

მუნიციპალურ არასამეწარმეო იურიდიულ პირებში გაზრდილ შტატებსა და ბიუჯეტის არაეკონომიურ ხარჯვაზე წლებია საუბრობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც. მიუხედავად ამისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები არ ცვლიან მანკიერ პრაქტიკას.

**მუნიციპალურ ა(ა)იპებში განხორციელებული ცვლილებები 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ რეგიონების მიხედვით**

**რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი**

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტში 37 ა(ა)იპ ფუნქციონირებდა, 2016 წლის მარტის მდგომარეობით კი მათი რაოდენობა 66-ია.
- ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა 1 158 საშტატო ერთეულიდან 2 035 საშტატო ერთეულამდე - მთლიანობაში 877 ერთეულით გაიზარდა;
- საშტატო ერთეულების ზრდამ ხელფასებზე გასაწევი საბიუჯეტო ხარჯი ყოველთვიურად 272 678,5 ლარით, წლიურად კი საშუალოდ 3 272 142 ლარით გაზარდა;
- ა(ა)იპებ-ში დასაქმებულთა რაოდენობა არ შემცირებულა არცერთ მუნიციპალიტეტში;

**ამბროლაური**

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ამბროლაურის ამ დროისთვის უკვე ლიკვიდირებულ გამგეობაში სულ 2 ა(ა)იპი ფუნქციონირებდა, სადაც ჯამში 100 ადამიანი იყო დასაქმებული, თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობა კი 19 466 ლარს შეადგენდა. რეფორმის შემდგომ კი ორი ახალი თვითმმართველი ერთეულის ჩამოყალიბების შედეგად, ამბროლაურის თემისა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული 16 ა(ა)იპ ფუნქციონირებს, დასაქმებულთა რაოდენობა 549 საშტატო ერთეულს შეადგენს, თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობა კი 178 245 ლარია.

**ონი**

ორი ახალი ა(ა)იპი დაფუძნდა ონის მუნიციპალიტეტში („კულტურული მემკვიდეორბის დაცვის ცენტრი“ და „კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობების ცენტრი“), დასაქმებულთა რაოდენობა კი 143 საშტატო ერთეულიდან 161 საშტატო ერთეულამდე, თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის მოცულობა 2014 წლის მაისთან შედარებით 2016 წლის მარტისათვის 6 169.5 ლარით გაიზარდა და ჯამში 37 631 ლარს შეადგენს
ონის მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ფუნქციათა დუბლირებასაც, რადგანაც 2016 წლის მარტის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროში მომუშავე სამი იურიდიული პირი და ერთი მუნიციპალური სამსახურია.

**ცაგერი**

13 ერთეულით გაიზარდა ა(ა)იპების რაოდენობა ცაგერის მუნიციპალიტეტში, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა კი 2014 წლის მაისთან შედარებით 2016 წლის მარტისათვის 322 საშტატო ერთეულითაა გაზრდილი, შედეგად თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობა გაიზარდა 84 805 ლარით და ჯამში ერთ თვეზე 181 365 ლარს შეადგენს.

2014 წლის შემდგომ შექმნილ ა(ა)იპ-ების უმრავლეობის ფუნქციების შესაძლებელია შეითავსოს ცაგერის გამგეობის ცალკეულმა სამსახურებმა, მაგალითად: ა(ა)იპ „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო კონტაქტების ცენტრის“ დირექტორმა ლანა საღინაძემ ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელთა საუბრისას განმარტა, რომ ცენტრის ძირითადი საქმიანობა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სხვა უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობით შემოიფარგლება მაშინ, როდესაც აღნიშნული ფუნქცია მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთ უფლებამოსილებას წარმოადგენს, შესაბამისად გაუგებარია, თუ რატომ დადგა მუნიციპალიტეტის საქმიანობის წარმოსაჩენად და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზნით ცალკე იურიდული პირის დაფუძნების საჭიროება;
ასევე ა(ა)იპ „ახალგაზრდობის ცენტრში“ განგვიმარტეს, რომ ამ იურიდული პირის ძირითადი ფუნქცია არის ცაგერის მუნიციპალიტეში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა სახის კულტურლ, სპორტულ თუ შემოქმედებით ღონისძიებასა და პროექტში. ჩვენი პოზიციით, იდენტური აქტივობები, შესაძლოა, განახორციელოს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა.

ცაგერის მუნიციპალიტეტში არჩევნების შემდგომ შემდეგი ა(ა)იპები ჩამოყალიბდა:

- ცაგერის მუნიციპალიტეტის ლეჩხუმის განათლების მუზეუმი
- ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი გზების მონიტორინგის ცენტრი
- ცაგერის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარების, განვითარებისა და ანალიტიკის ცენტრი
- ცაგერის საჭადრაკო კლუბი
- ახალგაზრდობის ცენტრი
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო კონტაქტების ცენტრი
- ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი
- ესთეტიკური აღზრდის ცენტრი (მის დაქვემდებარებაშია რამდენიმე ქორეოგრაფიული ჯგუფი)
- ცაგერის ტურიზმის ცენტრი
- ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული წყალმომარაგების სისტემების ზედამხედველობისა და კონტროლის ცენტრი
- ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი
- ძეგლთა დაცვის ცენტრი
- ფრენბურთის კლუბი “ცაგერი”

**ლენტეხი**

რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სხვა მუნიციპალიტეტებისაგან განსხვავებით, ა(ა)იპ-ების რაოდენობა არ გაზრდილა ლენტეხის მუნიციპალიტეტში. ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა კი გაიზარდა 88 საშტატო ერთეულით.
საშტატო ერთეულების რაოდენობის ზრდამ 22 925 ლარით გაზარდა ა(ა)იპების თანამშრომლებზე გასაცემი ყოველთვიური ხელფასის ოდენობა, შედეგად 2016 წლის მარტის მდგომარეობით ერთი თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობამ ჯამში 76 472 ლარი შეადგინა.


რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების რაოდენობა
2014 წლის მაისისა და 2016 წლის მარტის მდგომარეობით
ლენტეხი
16
16
ცაგერი
23
10
ონი
11
9
ამბროლაური
16
2
არჩევნების შემდეგ (2016 წლის მარტი)
არჩევნებამდე (2014 წლის მაისი)


რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტების მიერ დაუფძნებულ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა
რაოდენობა 2014 წლის მაისისა და 2016 წლის მარტის მდგომარეობით
ლენტეხი
429
341
ცაგერი
896
574
ონი
161
143
ამბროლაური
549
100
არჩევნების შემდეგ (2016 წლის მარტი)
არჩევნებამდე (2014 წლის მაისი)




## შიდა ქართლი

ძირითადი მიგნებები:

- რეგიონის 3 მუნიციპალიტეტის (კასპი, გორი, ქარელი) ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი 1847-დან 2298-მდე გაიზარდა სულ 451 შტატით;
- რეგიონში მოქმედი ა(ა)იპ-ების რიცხვი 73-დან შემცირდა 65-მდე (ხაშურში გაუქმდა 12 ბალი, რომელთაგანაც მანამდე ყველა ცალკეულ ა(ა)იპ-ს წარმოადგენდა და შეიქმნა ერთი ა(ა)იპი - ბაღების გაერთიანება)
- ჯამში ა(ა)იპ-ებში თვიურად გასაცემი ხელფასი გაზრდილია 378 265.93 ლარით (წლიურად 4 539 191.16 ლარით), 692 103.5 ლარიდან, 1 070 369.43 ლარამდე.

**მუნიციპალიტეტები**

**გორი**

ჯამში გორის ა(ა)იპ-ებში შტატების რაოდენობა 954-დან გაზრდილია 987-მდე, სულ 33 შტატით. დამატებულია 2 ა(ა)იპი ("ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების #20 საბავშვო ბაგა-ბაღი" და "ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური") და ყოველთვიურად გასაცემი ხელფასის ოდენობა 293 813 ლარიდან გაზრდილია 474 448.38 ლარამდე, სულ 180 635.38 ლარით, რაც წლიურად 2 167 624.56 ლარს შეადგენს

**კასპი**

კასპის მუნიციპალიტეტში იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რაოდენობა 559 ადამიანიდან გაზრდილია 725-მდე, სულ 166 ადამიანით. დამატებულია 1 ა(ა)იპი - "კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი". ამ დროისთვის კასპში სულ 7 ა(ა)იპი ფუნქციონირებს.

ყოველთვიურად გასაცემი ხელფასის მოცულობა 155 866 ლარიდან გაზრდილია 214 820 ლარამდე. სულ 58 954 ლარით, რაც წლიურად 707 448 ლარს შეადგენს

**ქარელი**

ქარელის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა 334 ადამიანიდან გაზრდილია 586-მდე, სულ 252 ადამიანით. გაუქმდა 2 ("ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება" და "ქარელის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანება") და შეიქმნა ასევე 2 ააიპი ("ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება" და "ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი"). ყოველთვიურად გასაცემი ხელფასის მოცულობა 73 490 ლარიდან გაზრდილია 165 135 ლარამდე. სულ 91 645 ლარით, რაც წლიურად 1 099 740 ლარს შეადგენს

**ხაშური**

ხაშურის მუნიციპალიტეტი ერთადერთია რეგიონში, სადაც ა(ა)იპების რაოდენობის კლების ტენდენციაა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფაქტს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება არ მოჰყოლია: მუნიციპალიტეტში არსებული ბაგა-ბაღები, რომლებიც მანამდე ცალკეულ ა(ა)იპებს წარმოადგენდნენ, ამჟამად "ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების" ა(ა)იპში არიან გაერთიანებულები. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებში თვიურად გასაცემი ხელფასის მოცულობა 168 933.5 ლარიდან 215 966.05 ლარამდე გაიზარდა, სულ 47 032.55 ლარით, რაც წლიურად 564 390.6 ლარს შეადგენს. სამწუხაროდ, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ არ მოგვაწოდა ინფორმაცია ა(ა)იპებში შტატების რაოდენობრივი ცვლილების შესახებ.




შიდა ქართლის მუნიციპალურ ააიპ-ში დასაქმებულთა რაოდენობა 2014 და 2016 წლების მდგომარეობით
გორი
987
954
ქარელი
586
334
ხაშური
კასპი
725
559
0
200
400
600
800
1000
1200
2016 წელი
2014 წელი


შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ ააიპ-ებში წლის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობა 2014 და 2016 წლების მდგომარეობით
გორი
5,693,376
3,525,756
ქარელი
1,981,620
881,880
ხაშური
2,591,592
2,027,196
კასპი
2,577,840
1,870,392
0
1,000,000
2,000,000
3,000,000
4,000,000
5,000,000
6,000,000
2016 წელი
2014 წელი

**მცხეთა-მთიანეთი**

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- რეგიონში ააიპ-ებში დასაქმებულ პირთა რიცხვი ჯამში 847-ით, 1450-დან 2271-მდე გაიზარდა;
- რეგიონში მოქმედი ააიპ-ების რიცხვი 24-დან გაიზარდა 38-მდე;
- ააიპ-ებში ყოველთვიურად გასაცემი ხელფასი გაზრდილია 173 584,708 ლარით, ყოველწლიურად კი 2 083016.52 ლარით 4,991,172-დან 7,074,188-მდე .

**მუნიციპალიტეტები**

**მცხეთა**

2014 წლის 1 მაისის მონაცემებით, მცხეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა სულ 4 ა(ა)იპი. 2014 წლის თვითმმართველობის რეფორმის შედეგად, მცხეთის მუნიციპალიტეტი გაიყო თვითმმართველ ქალაქ მცხეთად და თვითმმართველ თემად. ამის შემდეგ მცხეთაში (თემში და ქალაქში ერთად) დაემატა 8 იურიდიული პირი, რამაც ჯამში შეადგინა 12 ა(ა)იპი, რომელთაგან 7 ფუნქციონირებს თვითმმართვლ ქალაქ მცხეთაში და 5 თვითმმართველი თემი მცხეთაში.

ჯამში, თვითმმართველ ქალაქ მცხეთასა და თვითმმართველ თემ მცხეთაში ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა 596-დან გაზრდილია 813 ადამიანამდე, სულ 217 ადამიანით. დამატებულია 8 ა(ა)იპი და წლიურად გასაცემი ხელფასის ოდენობა 2 007 000-დან გაზრდილია 3 332 628-მდე, სულ 1 325 628 ლარით.

**თიანეთი**

თიანეთის მუნიციპალიტეტში იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რაოდენობა 257 ადამიანიდან გაზრდილია 356-მდე, სულ 99 ადამიანით. დამატებულია 4 ა(ა)იპი:

1. ა(ა)იპ ''თიანეთის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება''
2. ა(ა)იპ ''თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება''
3. ა(ა)იპ ''თიანეთის წყალი'';
4. ა(ა)იპ ''თიანეთის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური''

ამ დროისთვის თიანეთში სულ 11 ააიპ ფუნქციონირებს. წლიურად გასაცემი ხელფასის მოცულობა 713 988-დან გაზრდილია 1 174 080 ლარამდე, სულ 460092 ლარით.

**დუშეთი**

დუშეთის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა 423 ადამიანიდან გაზრდილია 497-მდე. სულ 74 ადამიანით დამატებულია 1 ა(ა)იპი ",დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი", ხოლო წლიურად გასაცემი ხელფასის მოცულობა 1 350 876-დან გაზრდილია 1 685 540.52 ლარამდე, სულ 334664.52 ლარით.

**ყაზბეგი**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი ერთადერთია რეგიონში, სადაც შეინიშნება კლების ტენდენცია. იურიდიულ პირებში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა 174-დან შემცირდა 163 ადამიანამდე, სულ 11

ადამიანით, დაემატა 1 ა(ა)იპ "ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" და ამ დროისთვის ყაზბეგში სულ 6 ა(ა)იპი ფუნქციონირებს. წლიურად გასაცემი ხელფასის მოცულობა შემცირდა 919 308-დან 881940 ლარამდე, ჯამში 37 368 ლარით.






**ქვემო ქართლი**

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია იურიდიულ პირებში 2014 წლის 1 მაისის და 2016 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობასა და თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობებს ეხება.
მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ:

- 2014 1 მაისის მდგომარეობით, ქვემო ქართლის მხარეში მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული 74 ა(ა)იპ და შპს ფუნქციონირებდა, ხოლო 2016 წლის თებერვლის მონაცემებით, მათი რაოდენობა 79-ია.
- იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რაოდენობა 4 107 საშტატო ერთეულიდან 4 990 საშტატო ერთეულამდე - მთლიანობაში 883 ერთეულით გაიზარდა;
- ხელფასებზე გასაწევი საბიუჯეტო ხარჯი ყოველთვიურად 571 961.19 ლარით, წლიურად კი საშუალოდ 6 863 534.28 ლარით გაიზარდა;
- იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რაოდენობა არ შემცირებულა არცერთ მუნიციპალიტეტში;
- 2014 წლის არჩევნების შემდეგ იურიდული პირების რაოდენობა მხოლოდ ქალაქ რუსთავში შემცირდა (20-დან 16-მდე);
- 2014 წლის არჩევნების შემდეგ 5 ახალი იურიდიული პირი დაფუძნდა ბოლნისის მუნიციპალიტეტში: შპს "დეზ ეფექტი", ა(ა)იპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური", ა(ა)იპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის სტადიონების და სპორტული მოედნების მართვის სამსახური", შპს "რიტუალური მომსახურების სააგენტო" (სასაფლაოების მოვლა) და ა(ა)იპ "სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის ძიუდოს სკოლა".

- 2 ახალი იურიდიული პირი წალკაში: ა(ა)იპ “წალკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სამსახური” და ა(ა)იპ “წალკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური”.
- ერთი ახალი აიურიდული პირი დაფუძნდა გარდაბანში - ა(ა)იპ “სატრანსპორტო გაერთიანება” და მარნეულში კი ა(ა)იპ “სუფთა მარნეული”
- თეთრიწყაროსა და დმანისის მუნიციპალიტეტებში იურიდული პირების რაოდენობა არ გაზრდილა.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ გრაფიკებში:









## სამეგრელო-ზემო სვანეთი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებიდან ა(ა)იპ-ებში 2014 წლის მაისის და 2015 წლის ივლისის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობისა და თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობების შესახებ.

როგორც მიღებული ინფორმაციით დგინდება:

- 2014 წლის ივლისის მდგომარეობით სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში ჯამში 105 ა(ა)იპ ფუნქციონირდა, 2015 წლის ივლისის მონაცემებით კი მათი რაოდენობა 113-ია. ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონის მასშტაბით 5 548 საშტატო ერთეულიდან 6 401 საშტატო ერთეულამდე გაიზარდა
- დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა მხოლოდ ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპებში - 14 საშტატო ერთეულით
- 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპებ-ს რიცხვი არ გაზრდილა, თუმცა 335 საშტატო ერთეულით გაიზარდა უკვე არსებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რაოდენობა (რეგიონში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია), მათ შორის - ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ თანამშრომელთა რაოდენობა 285 საშტატო ერთეულიდან გაიზარდა 570 ერთეულამდე, ასევე „სკოლამდელი აღზრდის ცენტრში“ 219 საშტატო ერთეულიდან - 279 ერთეულამდე. შესაბამისად ყოველთვიური სახელფასო ხარჯი სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ყველაზე მეტად წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გაიზარდა. ეს თანხა 154 313.3 ლარს შეადგენს.
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ზუგდიდის აწ უკვე ლიკვიდირებულ მუნიციპალიტეტში სულ 17 ა(ა)იპი ფუნქციონირებდა, რეფორმის შემდეგომ კი

ორი ახალი თვითმმმართველი ერთეულის ჩამოყალიბების შედეგად თემი ზუგდიდისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპების რაოდენობა ჯამში 21-ია, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 138 საშტატო ერთეულით, ყოველთვიური სახელფასო ხარჯი კი ორივე მუნიციპალიტეტში ერთად 117 415.3 ლარით გაიზარდა

- გარდა ზუგდიდისა, 2014 წლის არჩევნების შემდგომ 4 ახალი ააიპი დაფუნძდა ფოთსა და 2 მესტიის მუნიციპალიტეტში
- მესტიის მუნიციპალიტეტში 2015 წელს დაფუძნდა ააიპ „კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი მაშინ, როდესაც უკვე არსებობდა კულტურის სფეროში მომუშავე ააიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური", ასევე გამგეობის "განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური". ჩვენ გამოვითხოვეთ ორივე ააიპ-ის წესდებები. როგორც მიღებული ინფორმაციით დგინდება, ორივე ააიპ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ნიმუშების მოძიება, მოვლა-პატრონობა და განვითარებაა. ჩვენი პოზიციით, ეს ფუნქციები, შესაძლოა, ასევე სრულად შეითავსოს მესტიის გამგეობის "განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმაც" და შესაბამისად, გაუგებარი დარჩა, რატომ გახდა საჭირო იდენტური ფუნქციების მქონე ახალი იურიდიული პირის დაფუძნება.
- ქალაქ ფოთში 2014 წლის არჩევნების შემდგომ 4 ახალი ა(ა)იპ დაფუძნდა: "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი" (21 თანამშრომელი); "ვიქტორ კრატასიუკის სახელობის კანოე კლუბი" (11 თანამშრომელი); "ქალაქ ფოთის სასაფლაოების ცენტრი" (14 თანამშრომელი) და "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი" (64 თანამშრომელი). "სოციალური კვლევის ცენტრის" ძირითადი ფუნქციებია"სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ჯგუფების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოძიება; დემოგრაფიული პროცესების ინფორმაციული ბანკის შექმნა; მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური აქტივობის სტატუსი (დასაქმება, უმუშევრობა) საინფორმაციო ბანკის შექმნა) და ა.შ". ეს მაშინ, როდესაც მსგავსი ტიპის ფუნქციები აკისრია "სოციალური მომსახურების სააგენტოს", "საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს", ასევე ზემოაღნიშნული ცენტრისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება შეუძლია ქალაქ ფოთის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურსაც. შესაბამისად გაუგებარია, თუ რატომ მიიღო ფოთის მუნიციპალიტეტმა მსგავსი ტიპის იურიდიული პირის დაფუძნების გადაწყვეტილება, რამაც მნიშნელოვნად გაზარდა საბიუჯეტო დანახარჯებიც - ხელფასის სახით აღნიშნულ ა(ა)იპ-ში თვეში ჯამში 26 120 ლარი გაიცემა, წლიურად კი საშუალოდ 313 414 ლარი.
- ასევე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა დროს დაფუძნებულ 28 იურიდიულ პირს შორის 12 სპორტის სხვადასხვა სახეობებში მუშაობს („საბრძოლო ხელოვნებათა სკოლა"; „ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი"; „რაგბის სასპორტო სკოლა"; „ნიჩბოსნობის კომპლექსური სასპორტო სკოლა"; „კანოე კლუბი"; „ჭიდაობის კომპლექსური სასპორტო სკოლა"; „ჭადრაკის და შაშის კომპლექსური სასპორტო სკოლა"; „კომპლექსური სასპორტო სკოლა"; „ცხენოსნობის სასპორტო სკოლა"; „კრივის საპორტო სკოლა"; „წყლის სახეობათა კომპლექსური სასპორტო სკოლა"; „სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბი"). ჩვენი პოზიციით, შესაძლებელია იდენტური ან/და შინაარსობრივად დაახლოებული მიმართულებების ერთი იურიდიული პირის ქვეშ გაერთიანება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საბიუჯეტო დანახარჯებს და გამოიწვევს ფულადი რესურსების ეკონომიას.

- აბაშის მუნიციპალიტეტში ააიპების რაღენობა 10-დან 8 ერთეულამდე იქნა შემცირებული, კერძოდ ა(ა)იპ „საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკა“ შეუერთდა ა(ა)იპ „აბაშის კულტურის ცენტრს“, ასევე „აბაშის სასაფლოების მართვის ცენტრი“ გაერთიანდა ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობასთან“

დეტალური ინფორმაცია იხილეთ გრაფიკებში[2]:





სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების სააიპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ
არჩევნების შემდეგ (2015 წლის ივლისი)
არჩევნებამდე (2014 წლის მაისი)
ზუგდიდი
1 381
1 243
აბაშა
489
399
ფოთი
981
825
სენაკი
741
683
მარტვილი
386
374
წალენჯიხა
1115
780
მესტია
297
262
ჩხოროწყუ
478
435
ხობი
533
547




## გურია

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გურიის მხარის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში (ააიპ) დასაქებულთა რაოდენობა 984 საშტატო ერთეულით გაიზარდა, რამაც ხელფასებზე გასაწევი საბიუჯეტო ხარჯი ყოველთვიურად 370 ათასი ლარით, წლიურად კი - საშუალოდ 4.5 მილიონი ლარით გაზარდა.

- 2014 წლის ივლისის მდგომარეობით, გურიის მუნიციპალიტეტებში სულ 33 ა(ა)იპ ფუნქციონირებდა, 2015 წლის ოქტომბრის მდგომარეობით კი მათი რაოდენობა 47-ს შეადგენს. დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონის მასშტაბით 1 970 საშტატო ერთეულიდან 2 954 საშტატო ერთეულამდე გაიზარდა. ა(ა)იპ-ების თანამშრომლებზე ყოველთვიურად გასაცემი ხელფასის საშუალო რაოდენობა კი 569 070.5 ლარიდან 947 517.5 ლარამდე გაიზარდა.

- თუკი არჩევნებამდე ოზურგეთის ლიკვიდირებულ მუნიციპალიტეტში მხოლოდ 8 ა(ა)იპ ფუნქციონირებდა, არჩევნების შემდგომ თემი ოზურგეთისა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მიერ ჯამში 25 ა(ა)იპი დაფუძნდა. გაუგებარია, თუ რამ განაპირობა დამატებით 17 იურიდიული პირის დაფუძნების აუცილებლობა
- ასევე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერ დაფუძნებულ 16 იურიდიულ პირს შორის, ხუთი იურიდიული პირი სპორტის სხვადასხვა სახეობებში მუშაობს (სპორტის განვითარების ცენტრი, სასპორტო სკოლა, ჩოგბრუთის სკოლა, რაგბის განვითარების კავშირი, საფეხბურთო სკოლა - "მერცხალი") ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია, აღნიშნული ა(ა)იპ-ების ერთი იურიდიული პირის ქვეშ გაერთიანება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საბიუჯეტო დანახარჯებს და ფინანსურს რესურსებს დაზოგავს.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით, 13 ა(ა)იპი ფუნქცინირებდა, თუმცა 2015 წლის თებერვალში კულტურის სფეროში მომუშავე ყველა ა(ა)იპ ერთი ახალი იურიდიული პირში - "კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში" შევიდა, შედეგად იურიდიულ პირთა რაოდენობა 10 ერთეულამდე იქნა შემცირებული.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ გრაფიკებში:









## კახეთი

კახეთის მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია ა(ა)იპ-ებში 2014 წლის 1 მაისიდან 2016 წლის 15 იანვრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობასა და თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობებს ეხება.

მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ:

- 2014 1 მაისის მდგომარეობით, კახეთის მუნიციპალიტეტებში 91 ა(ა)იპ ფუნქციონირებდა, ხოლო 2016 წლის იანვრის მონაცემებით, მათი რაოდენობა 93-ია.
- ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა 5 164 საშტატო ერთეულიდან 6 059 საშტატო ერთეულამდე - მთლიანობაში 895 ერთეულით გაიზარდა;
- საშტატო ერთეულების ზრდამ ხელფასებზე გასაწევი საბიუჯეტო ხარჯი ყოველთვიურად 369 ათასი ლარით, წლიურად კი, საშუალოდ 4 430 000 ლარით გაზარდა;
- ა(ა)იპებ-ში დასაქმებულთა რაოდენობა არ შემცირებულა არცერთ მუნიციპალიტეტში;

- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე თელავის ამჟამად ლიკვიდირებულ მუნიციპალიტეტში სულ 17 ა(ა)იპი ფუნქციონირებდა. რეფორმის შემდგომ კი, ორი ახალი თვითმმმართველი ერთეულის ჩამოყალიბების შედეგად, თელავის თემისა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპების რაოდენობა 21-მდე, დასაქმებულთა რაოდენობა კი, 273 საშტატო ერთეულით, ხოლო ყოველთვიური სახელფასო ხარჯი ორივე მუნიციპალიტეტში მთლიანობაში 118 ათასი ლარით გაიზარდა;
- თელავის გარდა, 2014 წლის არჩევნების შემდგომ, 2 ახალი ა(ა)იპ დაფუძნდა სიღნაღის მუნიციპალიტეტში - "სიღნაღის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა" და "სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება";
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ-ების: "კულტურის ცენტრი", "საბიბლიოთეკო გაერთიანება" და "ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის" რეორგრანიზაცის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ა(ა)იპ "კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი", შესაბამისად, ა(ა)იპების რაოდენობა 2 ერთეულით შემცირდა;
- 2 ერთეულით შემცირდა ა(ა)იპების რაოდენობა გურჯაანის მუნიციპალიტეტშიც;
- კახეთის მუნიციპალიტეტის 93 ა(ა)იპ-ს შორის 18 სპორტის სხვადასხვა სახეობაში მუშაობს, 27 ა(ა)იპ კი კულტურის სფეროში.





კახეთის მუნიციპალიტეტების ააიპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ
ყვარელი
868
723
ლაგოდეხი
635
572
სიღნაღი
567
456
გურჯაანი
994
885
საგარეჯო
643
582
ახმეტა
728
687
დედოფლისწყარო
497
405
თელავი
1127
854
არჩევნების შემდეგ (2016 წლის 15 იანვარი)
არჩევნებამდე (2014 წლის 1 მაისი)




კახეთის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობა 2014 წლის 1 მაისისა და 2016 წლის 15 იანვრის მდგომარეობით
ყვარელი
231887
174616
ლაგოდეხი
158775
152345.5
სიღნაღი
117577
79716
გურჯაანი
241419.75
173718.25
საგარეჯო
181175
170249
ახმეტა
181970
158600
დედოფლისწყარო
127060
79460
თელავი
310144
191540.8
არჩევნების შემდეგ (2016 წლის 15 იანვრი)
არჩევნებამდე (2014 წლის 1 მაისი)

**იმერეთი**

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ იმერეთის მასშტაბით 19 ახალი ა(ა)იპი შეიქმნა, რამაც საშტატო ერთეულები 1587 ერთეულით გაზარდა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მაისიდან 2015 წლის ოქტომბრამდე გაუქმდა 19 არსებული ა(ა)იპი, რამაც თავის მხრივ, საშტატო ერთეულების 800 ერთეულით შემცირება გამოიწვია.

რეგიონის მასშტაბით ა(ა)იპების რაოდენობა არ შეცვლილა. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ მათი რაოდენობა 158-ია, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ ლიკვიდაცია შედარებით მცირე საშტატო ნუსხის მქონე ა(ა)იპებს შეეხო, ხოლო ახლადშექმნილი ა(ა)იპები თანამშრომელთა სიმრავლით გამოირჩევა, საშტატო ერთეულების რაოდენობა მნიშვნელოვნად - 787 საშტატო ერთეულით გაიზარდა.

ამავე პერიოდში იმერეთის მუნიციპალიტეტების უკვე არსებულ ა(ა)იპებში 926 საშტატო ერთეულის დამატება მოხდა, რამაც მთლიანობაში რეგიონის მასშტაბით უკვე არსებულ და ახლადშექმნილ ა(ა)იპებში საშტატო ერთეულების რაოდენობა 1713 ერთეულით გაზარდა.




შესაბამისად, მუნიციპალიტეტებმა ახლადშექმნილ ა(ა)იპებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ყოველთვიური თანხა 498 117.76 ლარით, წლიურად კი საშუალოდ 5 977 413.12 ლარით განსაზღვრეს. ამასთან, რეგიონის უკვე არსებულ ა(ა)იპებში გაზრდილი საშტატო ერთეულებისათვის აუცილებელი თანხების გათვალისწინებით, რაც ყოველთვიურად თვეში საშუალოდ 761 854 ლარს უდრის (წლიური 9 142 248 ლარი), 2014-15 წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად რეგიონის მუნიციპალურ ა(ა)იპებში დასაქმებულთა ხელფასებზე თვეში 1 259 971.76 ლარით მეტი იხარჯება, რაც წლიურად 15 119 661.12 ლარს შეადგენს.

<u>ქუთაისი</u>

- რეგიონში ა(ა)იპების რაოდენობა განსაკუთრებით ქუთაისში გაიზარდა - მერიამ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დამატებით 5 ა(ა)იპი ("სპეციალური სერვისები", "ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი", "ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი ქუთაისი 2015", "ტაეკვანდოს სპორტული კლუბი", "სამეფო კომპლექსი ოქროს ჩარდახი") დააფუძნა, რომელთა საერთო საშტატო რაოდენობამ 2015 წლის დასაწყისში 470 ერთეული შეადგინა და შესაბამისად, 220 086,38 ლარით გაზარდა ყოველთვიური სახელფასო ხარჯები.

2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 5 ოქტომბრამდე პერიოდში ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპებში საშტატო ერთეულები დინამიკურად გაიზარდა: კერძოდ, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს მერიის დაქვემდებარებულ 15 ა(ა)იპიდან საშტატო ერთეულები მხოლოდ სამ ა(ა) იპიში ("ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება", "ქალაქ ქუთაისის ყინულის მოედანი", "ქალაქ ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა"), მთლიანობაში - 23 ერთეულით შემცირდა, 11 ა(ა)იპიში 296 ერთეულით გაიზარდა და მხოლოდ ერთში - ა(ა)იპ "ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში" საშტატო ერთეულების რაოდენობა უცვლელი დარჩა.

საშტატო ერთეულების ზრდის თვალსაზრისით გამონაკლისს არ წარმოადგენს ის ა(ა)იპები, სადაც საშტატო ერთეულების შესაძლო შემცირების მოტივით 2015 წელს რეორგანიზაცია ჩატარდა. 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში" 1310 თანამშრომელი ირიცხებოდა, 2015 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით კი - 1571.

2014-2015 წლებში საშტატო ერთეულების ზრდის ფონზე, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპებში 2015 წლის ბოლოს ატესტაციები ჩატარდა, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის განცხადებით, აქ დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის შემოწმებას ისახავდა მიზნად. მათ შორის იყვნენ პირები, რომლებიც 2014-15 წლების მანძილზე თანამდებობებზე უკონკურსოდ მიიღეს.

მთლიანობაში 2014-2015 წლებში ა(ა)იპებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ქუთაისის თვითმმართველობას სახელფასო ხარჯები თვეში 316 919.88 ლარით, წლიურად კი, 3 803 038.56 ლარით გაეზარდა.

სხვა მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ა(ა)იპების რაოდენობა არ გაზრდილა. გამონაკლისს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტი, სადაც 2015 წელს ა(ა)იპები: "ვეტა ჩხენკელის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი" და "ხონის საინფორმაციო ცენტრი" დაარსდა და თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "საპოვნელა" დააფუძნა.

ხონის მუნიციპალიტეტში უკვე არსებულ ააიპებში 2015 წელს საშტატო ერთეულები არ გაზრდილა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში კი მათი რაოდენობა 18 ერთეულით შემცირდა.

ყველაზე მეტი - 11 ა(ა)იპი წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა გააუქმა და 6 ახალი შექმნა. ბაღდათის მუნიციპალიტეტში გაუქმდა 6 და შეიქმნა 3 ახალი ა(ა)იპ. ა(ა)იპები ასევე გაუქმდა საჩხერესა და ტყიბულში.

აღსანიშნავია 2014-2015 წლებში 2014 წლის 1 მაისის მდგომარეობით არსებულ ა(ა)იპებში დასაქმებული პირების რაოდენობის მკვეთრი ზრდის ტენდენცია. კერძოდ ქუთაისში 273 ერთეულით, ჭიათურაში - 100 ერთეულით, ტყიბულში - 45 ერთეულით, ზესტაფონში 83 ერთეულით, ხარაგაულში - 191 ერთეულით, ვანში - 35 ერთეულით, საჩხერეში - 48 ერთეულით, თერჯოლაში - 118 ერთეულით, წყალტუბოში - 9 ერთეულით, ბაღდათში - 24 ერთეულით.

იმერეთის მუნიციპალიტეტებში 2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 5 ოქტომბრამდე ა(ა)იპებში თანამშრომელთა და შრომის ანაზღაურების მოცულობის რაოდენობრივი ცვლილება შემდეგი სახისაა:






სამწუხაროდ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ შედარებითი ანალიზის გაკეთების საშულება არ მოგვცა - მუნიციპალიტეტმა შრომის ასანაზღაურებლად მხოლოდ 2014 წლის პირველ კვარტალსა და 2015 წლის 10 თვეში გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წარმოგიდგენთ ჩატარებული კვლევის ძირითად შედეგებს (კვლევა ეხება 2014 წლის ივნისიდან 2015 წლის სექტემბრამდე პერიოდს):

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებში 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობა 4007-დან 4415 საშტატო ერთეულამდე (408 საშტატო ერთეულით) გაიზარდა, რამაც ხელფასებზე გასაწევი საბიუჯეტო ხარჯი ყოველთვიურად 198 817 ლარით გაზარდა, რაც წლიურად დამატებით საშუალოდ 2,4 მილიონ ლარს შეადგენს*.
- რამდენიმე შემთხვევაში, ა(ა)იპებში განხორციელებული რეორგანიზაცია ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რასაც თან ახლდა თანამშრომელთა გათავისუფლება. თუმცა, რეორგანიზაციით გათვალისწინებული შტატების შემცირების ნაცვლად, საბოლოოდ გაიზარდა საშტატო ერთეულების რაოდენობა და შეიქმნა ახალი სტრუქტურებლი ერთეულები.
- მას შემდეგ, რაც მერებს/გამგებლებს უფლებამოსილება მიენიჭათ ერთპიროვნულად დაენიშნათ ან გაეთავისუფლებინათ ა(ა)იპების დირექტორები, სხვადასხვა დროს დანიშნული დირექტორების მასობრივი გათავისუფლება  ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე მოხდა, რამაც რიგ შემთხვევაში საკადრო ცვლილებების პოლიტიკური მოტივაციის ეჭვის საფუძველი გააჩინა; თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საერთო ჯამში 15 მუნიციპალური ა(ა)იპის დირექტორი გათავისუფლდა;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპებ-ში საშტატო ერთეულის მნიშვნელოვანი ზრდა (122 საშტატო ერთეული) ა(ა)იპ ,,ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში'' განხორციელდა;
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ თვის განმავლობაში გასაცემი ხელფასის ოდენობა შემცირდა მხოლოდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში;
- 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ და 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით, თვითმმართველ ქალაქ ბათუმში ა(ა)იპ-ების რაოდენობა არ გაზრდილა, თუმცა მოხდა უკვე არსებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში საშტატო ერთეულის ზრდა, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია სახელფასო საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ზრდა. ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა დროს დაფუძნებულმა 14 ა(ა)იპ-მა გარკვეული ცვლილებები განიცადა: 2014 წლის 26 ივნისს ა(ა)იპ ''ქალაქ ბათუმის მუნიციპალურ სასადილოს'' სახელი შეეცვალა და ,,ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოდ'' გადაკეთდა; ,,ბათუმის ისტორიული განვითარების ფონდს'' ახალი სახელწოდება ,,ბათუმის განვითარების ფონდი'' დაერქვა. ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 13 თებერვლის განკარგულების საფუძველზე, განხორციელდა ა(ა)იპ ,,ბათუმის სცენის'' და ა(ა)იპ ,,ქალაქ ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის'' რეორგანიზაცია და მათ ბაზაზე ახალი ა(ა)იპ ,,ბათუმის კულტურის ცენტრის'' შეიქმნა.

- 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ქობულეთის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპებ-ის რაოდენობა გაიზარდა ერთით. 2014 წლის 15 ივნისის შემდგომ შეიქმნა ა(ა)იპი ''ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი ,,ქობულეთი''. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებ-ში დასაქმებულთა რაოდენობა 39-ი ლარით, ხოლო ხელფასებზე გასაწევი ყოველთვიური საბიუჯეტო ხარჯები - 9910 ლარით გაიზარდა.
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებ-ის რაოდენობა არ გაზრდილა, ასევე ექვსი საშტატო ერთეულით შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა.
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ქედის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებ-ის რაოდენობა არ გაზრდილა, თუმცა უკვე არსებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირში "ქედის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში" დასაქმებულთა რაოდენობა 60 საშტატო ერთეულით გაიზარდა.
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ შუახევის მუნიციპალიტეტიში ა(ა)იპებ-ის რაოდენობა გაიზარდა ერთით. 2014 წლის 15 ივნისის შემდეგ ა(ა)იპი ,,შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი'' დაარსდა, სადაც ოთხი პირი დასაქმდა.
- ხულოს მუნიციპალიტეტი ერთადერთია, სადაც ა(ა)იპებ-ის რაოდენობა გაიზარდა ორი ერთეულით. არჩევნების შემდგომ ა(ა)იპი ,,ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი'', ა(ა)იპ ,,ხულოს საფეხბურთო კლუბი ხიხანი''დაარსდა, შესაბამისად დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 77 საშტატო ერთეულით, რამაც ხელფასზე გასაწევი შესაბამისი საბიუჯეტო ხარჯი თვიურად 23 320 ლარით გაზარდა.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ:



2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპებ-ის რაოდენობა 46-იდან 50-მდე გაიზარდა.




ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ა(ა)იპებში დასაქმებულთა რაოდენობა 408 საშტატო ერთეულით გაიზარდა. ყველაზე დიდი ზრდა (218 საშტატო ერთეულით) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მოხდა. ა(ა)იპებში დასაქმებულთა რაოდენობა მხოლოდ ხელვაჩაურში შემცირდა.




2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაქვემდებარებაში შემავალ ა(ა)იპებ-ში შემცირდა მხოლოდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ხოლო ყოველთვიურად სახელფასო ფონდი 198,817 ლარით გაიზარდა.




ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებ-ში საშტატო ერთეული შემცირდა მხოლოდ ,,ბათუმის განვითარების ფონდში'' ერთი საშტატო ერთეულით, ხოლო შტატების ყველაზე დიდი ზრდა 122 საშტატო ერთეულით ა(ა)იპ ,,ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში'' მოხდა, მთლიანობაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებ-ში საშტატო ერთეული 218-ით ერთეულით გაიზარდა.




ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებ-ში სახელფასო ფონდზე გასაწევი ყოველთვიური საბიუჯეტო ხარჯი 134 910 ლარით გაიზარდა. სახელფასო ფონდის მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება ა(ა)იპ ''ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში'' 55 220 ლარით, ასევე ა(ა)იპი ,,ბათუმის კულტურის ცენტრში'', სადაც ყოველთვიური სახელფასო ფონდი 36 930 ლარით გაიზარდა.

<u>დირექტორების გათავისუფლება ა(ა)იპებ-ში</u>

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში (<u>54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად,</u>) განხორციელებული ცვლილებებით, მუნიციპალიტეტის მერს (გამგებელს) მიენიჭა უფლებამოსილება საკრებულოს თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; ამასთან, გარდა მოცემული უფლებამოსილებისა გამგებელი/მერი წარმოადგენს დამფუძნებელს/წევრს ა(ა)იპ - ებისათვის და ის

ილებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას შესაბამისი იურიდიული პირის დირექტორის დანიშვნასა და განთავისუფლებაზე.
ზემოაღნიშნულ ცვლილებებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების - საკრებულოების მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება მოჰყვა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 29 აგვისტოს #131 განკარგულებით, ცვლილება შევიდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებულ იურიდიულ პირთა სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში და დამფუძნებლის/წევრის უფლებამოსილება გადაეცა მერს.
ზემოაღნიშნულ ცვლილებებს თვითმმართველ ქალაქ ბათუმის ა(ა)იპებ-ში დირექტორთა გათავისუფლება მოჰყვა. კერძოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 15 ივნისიდან დღემდე:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ოთხი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დირექტორი გათავისუფლებულდა, ხოლო ერთი პირი გათავისუფლდა დირექტორის მოვალეობის შესრულების ვალდებულებისაგან;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებში გათავისუფლდნენ ,,ქობულეთის კულტურის ცენტრისა'' და ,,ქობულეთის გამწვანების'' დირექტორები;
- 2014 წლის 17 სექტემბრისა და 2015 წლის 15 ივნისის ბრძანებებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპებ-ში განხორციელდა დირექტორთა მასობრივი გათავისუფლება. კერძოდ, ა(ა)იპების ,,სახელოვნებო სკოლის'', ,,კულტურის ცენტრისა'' ,,საბავშვო ბაღების გაერთიანების'' და ,,ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის'' დირექტორები გაათავისუფლეს;
- ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ა(ა)იპებ-ის დირექტორთაგან გათავისუფლება არჩევნების შემდეგ შეეხო მხოლოდ ,,ქედის კულტურის ცენტრის'' დირექტორს.
- შუახევის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებ-ში დირექტორთა თანამდებობიდან გათავისუფლებას საკმაოდ მასშტაბური სახე ჰქონდა. შუახევის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არჩევნებამდე შედიოდა ექვსი ა(ა)იპი და შესაბამისად ექვსი დირექტორი, ხოლო არჩევნების შემდგომ ეს რიცხვი შვიდამდე გაიზარდა. ბრძანებების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ პერიოდში, კერძოდ 2014 წლის ოქტომბერში, თანამდებობიდან გათავისუფლდა არჩევნებამდე არსებული ექვსივე ა(ა)იპ-ის დირექტორი.
- ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში დირექტორთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ არ არის მითითებული.

ა(ა)იპებ-ში ჩატარებული რეორგანიზაციები, რომელთა შედეგად თანამშრომელთა რიცხვი გაიზარდა

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების შტატით გათვალისწინებული მოსამსახურეების თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი შეიძლება იყოს ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ ბათუმის ა(ა)იპებ-ში მოხდა საშტატო ერთეულების როგორც შემცირება, ასევე ზრდა.
ამასთან, არსებული საშტატო ერთეულების გაუქმებისას იმავე ფუნქციის ახალი საშტატო ერთეულები იქმნებოდა. მაგალითად, ა(ა)იპი ,,ბათუმის კორპუსში'' დასაქმებული პირების გათავისუფლება ორგანიზაციულ ცვლილებებსა და შტატების შემცირებაზე მითითებით მოხდა. რეორგანიზაციამდე არსებობდა 37 საშტატო ერთეული, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად კი 62 საშტატო ერთეულამდე გაიზარდა. ა(ა)იპი ,,ბათუმის კორპუსში'' მიმდინარე პროცესებთან და პირების შესაძლო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებით „საერთაშრისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ბათუმის ოფისმა ქალაქის მერს წერილობითაც მიმართა.

ა(ა)იპი ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოში'', შტატების შემცირების მოტივით გათავისუფლდა დირექტორის მოადგილე მაშინ, როცა ა(ა)იპ-ში შტატის შემცირებას ადგილი არ ჰქონია, პირიქით, შტატები 71 საშტატო ერთეულიდან 78-მდე გაიზარდა.

დასკვნა

აჭარის ავტონომური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებ-ში არჩევნების შემდეგ ჩატარებული რეორგანიზაციის პროცესი ფორმალური ხასიათის იყო და მიზნად არ ისახავდა შტატების რეალურ შემცირებას. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა შტატის შემცირებას, არამედ გაზრდას, ახალი შტატის შემოღებას იმავე ფუნქცია-მოვალეობებით, რაც გათავისუფლებულ პირებს ეკავათ.

ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ რამდენიმე ა(ა)იპ-ში ჩატარებული რეორგანიზაციის მიზანი სხვადასხვა მიზეზით კონკრეტული პირების გათავისუფლება და არა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება იყო.

---------------------

* კვლევის მომზადების პროცესში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის #66 განკარგულებით ქალაქ ბათუმის მერს მიეცა თანხმობა ა(ა)იპი ,,ბათუმის განვითარების ფონდის'' ლიკვიდაციაზე, ხოლო 2015 წლის 27 ნოემბრის #67 განკარგულებით ა(ა)იპი ,,ბათუმის ტურისტული განვითარების მართვის სააგენტოს'' დაფუძნებაზე. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 ნოემბრის განკარგულებით კი ა(ა)იპი ,,ქობულეთის სანდასუფთავება'' შეიქმნა.

## სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია ა(ა)იპ-ებში 2014 წლის 1 მაისიდან 2016 წლის 15 იანვრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობასა და თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობებს ეხება.

მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ:

- 2014 1 მაისის მდგომარეობით, სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში 55 ა(ა)იპ ფუნქციონირებდა, ხოლო 2016 წლის იანვრის მონაცემებით, მათი რაოდენობა 70-ია.
- ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა 1 704 საშტატო ერთეულიდან 2 051 საშტატო ერთეულამდე - მთლიანობაში 347 ერთეულით გაიზარდა;
- საშტატო ერთეულების ზრდამ ხელფასებზე გასაწევი საბიუჯეტო ხარჯი ყოველთვიურად 205 554.12 ლარით, წლიურად კი საშუალოდ 2 466 655.44 ლარით გაზარდა;
- ა(ა)იპებ-ში დასაქმებულთა რაოდენობა არ შემცირებულა არც ერთ მუნიციპალიტეტში;
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ახალციხის ამჟამად ლიკვიდირებულ მუნიციპალიტეტში სულ 9 ა(ა)იპი ფუნქციონირებდა. რეფორმის შემდგომ კი ორი ახალი თვითმმართველი ერთეულის ჩამოყალიბების შედეგად, ახალციხის თემისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპების რაოდენობა 16-მდე, დასაქმებულთა რაოდენობა კი 60 საშტატო ერთეულით, ხოლო ყოველთვიური სახელფასო ხარჯი ორივე მუნიციპალიტეტში მთლიანობაში 37 985.12 ლარით გაიზარდა;
- 2014 წლის არჩევნების შემდგომ, 3 ახალი ა(ა)იპ დაფუძნდა ასპინძის მუნიციპალიტეტში - “ასპინძის სპორტული კლუბი”, “ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი” და “ასპინძის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი”;

- ხუთი ახალი ა(ა)იპ კი ბორჯომის მუნიციპალიტეტში ("ა(ა)იპ სასაფლაო", "ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა", "სასაფლაო", "გარე-განათება", "ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტი", "ბორჯომის სოფლის წყალი".
- აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბაღების ორი გაერთიანება არსებობს ა(ა)იპ "ბაკურიანის სკოლამდელი დაწესებულება" და ა(ა)იპ "ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ბორჯომის ნათელი მომავალი", ვფიქრობთ ბაღების მართვა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ არასამეწარმეო იურიდიულ პირსაც შეუძლია, ასევე მიგვაჩნია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში უკვე არსებულმა ა(ა)იპმა "ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობამ" შეიძლება შეითავსოს გარეგანათების სამუშაოების შესრულება, შესაბამისად, ახალი ა(ა)იპის "გარე-განათების" შექმნა არამიზანშეწონილია;
- ა(ა)იპ-ების რაოდენობა არ შეცვლილა ადიგენის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში;
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპების რაოდენობასთან ერთად არ შეცვლილა დასაქმებულთა რაოდენობა და თვის მანძილზე გასაცემი ხელფასის ოდენობაც.




სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების მიერ დაუფძნებულ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა
2014 წლის 1 მაისისა და 2016 წლის 15 იანვრის მდგომარეობით
ახალქალაქი
382
372
ახალციხე
655
595
ადიგენი
187
174
ნინოწმინდა
42
42
ბორჯომი
637
404
ასპინძა
148
117
არჩევნების შემდეგ 2016 წლის 15 იანვარი)
არჩევნებამდე (2014 წლის 1 მაისი)


სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში თვის მანძილზე გასაცემი
ხელფასის ოდენობა 2014 წლის 1 მაისისა და 2016 წლის 15 იანვრის მდგომარეობით
ახალქალაქი
96752
89632
ახალციხე
225606.12
187621
ადიგენი
46630
37560
ნინოწმინდა
12365
12365
ბორჯომი
254582.5
121531
ასპინძა
44681
26353
არჩევნების შემდეგ 2016 წლის 15 იანვარი)
არჩევნებამდე (2014 წლის 1 მაისი)